# საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

# 2021 საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი

შრომის ბაზრის
საინფორმაციო სისტემა


*დაგეგმე მომავალი*

# სარჩევი


შესავალი ..... 4

შრომის ბაზრის სტატისტიკა ..... 5

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა ..... 5

უმუშევრობა ..... 6

დასაქმება ..... 11

მიგრაცია ..... 15

კერძო სექტორის როლი დასაქმების მაჩვენებლებში ..... 16

დასაქმება სექტორულ ჭრილში ..... 17

მრეწველობა ..... 18

მშენებლობა ..... 19

ვაჭრობა ..... 21

სოფლის მეურნეობა ..... 21

ტრანსპორტირება და დასაწყობება ..... 22

უძრავი ქონება ..... 24

სასტუმროები და რესტორნები ..... 24

HR.GE-ზე 2020 წელს გამოქვეყნებული ვაკანსიების მიმოხილვა ..... 29

ძირითადი ჯგუფი: ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები ..... 31

ძირითადი ჯგუფი: სპეციალისტები ..... 33

ძირითადი ჯგუფი: მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პერსონალი ..... 36

ძირითადი ჯგუფი: ოფისის დამხმარე პერსონალი ..... 38

ძირითადი ჯგუფი: ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები ..... 39

ძირითადი ჯგუფი: დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი ..... 41

ძირითადი ჯგუფი: სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები ..... 43

ძირითადი ჯგუფი: მენეჯერები ..... 44

ძირითადი ჯგუფი: სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები ..... 45

2020 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (WORKNET.GOV.GE) დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა და გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზი ..... 46

დასკვნა ..... 50

რეკომენდაციები ..... 52

დიაგრამა 1 ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა და დონე....6
დიაგრამა 2 უმუშევრობის დონე და უმუშევართა რაოდენობა....6
დიაგრამა 3 უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით....7
დიაგრამა 4 უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით....8
დიაგრამა 5 უმუშევრობის დონე (%) ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით....9
დიაგრამა 6 უმუშევრობის დონე (%) რეგიონების მიხედვით....10
დიაგრამა 7 დასაქმებულთა რაოდენობა და დასაქმების დონე....11
დიაგრამა 8 დასაქმების სტრუქტურა....11
დიაგრამა 9 დასაქმების დონე (%) სქესის მიხედვით....12
დიაგრამა 10 დასაქმების დონე (%) და დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობების სახეების NACE Rev. 2 -ის მიხედვით (2020წ.)....13
დიაგრამა 11 დასაქმებულთა რაოდენობა და დასაქმებულთა წილი პროფესიული ჯგუფების მიხედვით ISCO 08....14
დიაგრამა 12 მიგრაციული სალდო....15
დიაგრამა 13 დასაქმება ბიზნეს სექტორში....16
დიაგრამა 14 დასაქმებულთა რაოდენობა და ერთი დასაქმებულის დამატებული ღირებულება სექტორების მიხედვით....17
დიაგრამა 15 დასაქმებულთა რაოდენობა მრეწველობის სექტორში (განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით)....18
დიაგრამა 16 შრომის ანაზღაურება მრეწველობის სექტორში დარგების მიხედვით 2020 წ. ....19
დიაგრამა 17 მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით....20
დიაგრამა 18 შრომის ანაზღაურება მშენებლობის სექტორში (ლარი)....20
დიაგრამა 19 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი ვაჭრობის სექტორში....21
დიაგრამა 20 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი (ლარი) სოფლის მეურნეობაში....22
დიაგრამა 21 ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით....22
დიაგრამა 22 ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (2020)....23
დიაგრამა 23 უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო თვიური ხელფასი (ლარი)....24
დიაგრამა 24 სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით ....25
დიაგრამა 25 სასტუმროებსა და რესტორნებში საშუალო თვიური ხელფასი (ლარი)....25
დიაგრამა 26 HR.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (2020 წ.) ....29
დიაგრამა 27 HR.ge-ზე 2019-20 წლებში გამოქვეყნებული ვაკანსიების შედარება....30
დიაგრამა 28 აქტიური სამუშაოს მაძიებლები რეგიონების მიხედვით (2020 წ.)....47
დიაგრამა 29 2020 წელს სისტემაში დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით....47
დიაგრამა 30 შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში შემუსული ვაკანსიები და პროცენტული ცვლილება....48
დიაგრამა 31 შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში შემუსული ვაკანსიები ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით....48
დიაგრამა 32 შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში შემუსული ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით....49

# შესავალი

2020 წელს, კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, უპირატესი პრიორიტეტი ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას მიენიჭა, ხოლო გლობალური ეკონომიკური კრიზისი გარდაუვალი შეიქმნა. კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეულმა შოკმა შესაბამისი უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოზეც, როგორც გლობალური სამყაროს განუყოფელ, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაზე. კრიზისი შეეხო აბსოლუტურად ყველა სექტორს/მიმართულებას და პანდემიამ შეაფერხა ის პოზიტიური ტენდენციები, რომელიც 2019 წელს დაფიქსირდა ქვეყნის ეკონომიკის თითქმის ყველა მიმართულებით. აღნიშნული თავის მხრივ აისახა შრომის ბაზარზეც.

მიუხედავად სირთულეებითა და გამოწვევებით სავსე პერიოდისა, საქართველოს ეკონომიკამ აღდგენა სწრაფადვე დაიწყო. საერთაშორისო ორგანიზაციების (IMF, WB) პროგნოზები 2021 წლისთვის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებითაც დადასტურდა და მიმდინარე წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებში აისახა (მშპ-ს ზრდა: 2021 წლის აპრილი +44.8%, მაისი +25.8%, 2021 წლის პირველი 10 თვე + 10.5%).

პოსტ-პანდემიურ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას კვლავ დასაქმების ზრდა და უმუშევრობის შემცირება წარმოადგენს, რაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია უმუშევრობისა და დასაქმების კომპონენტების საფუძვლიანი ანალიზი, როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის კუთხით.

წინამდებარე ანგარიში აანალიზებს ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის მიმართულებით არსებულ ტენდენციებს, მათ შორის სექტორულ, ასაკობრივ, გენდერულ და რეგიონულ ჭრილში. იგი შეისწავლის შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტს და ამასთან განსაზღვრავს იმ ძირითად სექტორებს, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალი ეკონომიკური აქტივობაა, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ამ სექტორებში დასაქმების ზრდის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. ამასთან, ანგარიში მოიცავს როგორც კერძო დასაქმების სააგენტოს (hr.ge) მონაცემთა ანალიზს, ასევე სახელმწიფო დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (worknet.gov.ge) რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელთა და ვაკანსიების ანალიზს. ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები, რომლშიც მოცემულია საქართველოს შრომის ბაზრის წინაშე მდგარი გამოწვევები და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ხედვა.

# შრომის ბაზრის სტატისტიკა

შრომის ბაზრის მაჩვენებლების მკვეთრი ცვლილების გამომწვევი მიზეზი, გლობალური პანდემიის გარდა, სამუშაო ძალის სტატისტიკის მეთოდოლოგიური ცვლილებებით არის განპირობებული. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ახალი სტანდარტის დანერგვა ითვალისწინებს თვითდასაქმებულთა გადაკვალიფიცირებას და სამუშაო ძალის დამატებითი ინდიკატორების გაანგარიშებას. კერძოდ, ახალი სტანდარტით თვითდასაქმებულად აღარ ითვლებიან საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში მომუშავე პირები, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებულები და სასოფლო სამეურნეო პროდუქციას აწარმოებენ უმთავრესად (50%-ზე მეტი) საკუთარი მოხმარებისათვის. აღნიშნული სტატუსის მქონე პირები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გადაკვალიფიცირდნენ ან უმუშევართა კატეგორიაში, ან მოსახლეობაში სამუშაო ძალის გარეთ, იმის მიხედვით, ეძებდნენ თუ არა სამუშაოს და მზად იყვნენ თუ არა სამუშაოს დასაწყებად. ამასთანავე, საქსტატის მიერ განხორციელდა წინა წლების, დაწყებული 2010 წლიდან, გადაანგარიშება და განახლება.

## ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა

უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო ძალის მიწოდების თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ბოლო წლებში შრომისუნარიანი მოსახლეობისა და აქტიურობის დონის კუთხით არსებული დინამიკა. კერძოდ, დაბალი ბუნებრივი მატებისა და გაზრდილი მიგრაციული ნაკადის შედეგად, ბოლო 10 წლის განმავლობაში, კლებადობით ხასიათდება შრომისუნარიანი მოსახლეობა. ამასთანავე, მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონის შემცირებაში წვლილი შეიტანა ახალი სტანდარტის დანერგვამაც, რაც დაკავშირებულია თვითდასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის გადაკვალიფიცირებასთან. ახალი სტანდარტის დანერგვით გამოწვეული მონაცემთა გადაანგარიშების შედეგად, ადრე გამოქვეყნებულ მონაცემებთან შედარებით 2010-2019 წლებში აქტიურობის დონე შემცირებულია საშუალოდ 11.4%-ით.

2020 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობამ 1,523.7 ათასი ადამიანი შეადგინა, რაც შრომისუნარიანი მოსახლეობის (15+ ასაკის მქონე) 50.5%-ია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 3.1%-ით ნაკლებია. უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო ძალა 2016 წლიდან მოყოლებული შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

*დიაგრამა 1. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა და დონე*




## უმუშევრობა

სამუშაო ძალის სტატისტიკის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვით გამოწვეული მონაცემთა გადაანგარიშების შედეგად, ადრე გამოქვეყნებულ მონაცემებთან შედარებით გაიზარდა უმუშევრობის დონე (2010-2019 წლებში საშუალოდ 8.3%-ით).

*დიაგრამა 2. უმუშევრობის დონე და უმუშევართა რაოდენობა*




2020 წელს უმუშევრობის დონემ საქართველოში 18.5% შეადგინა (281.9 ათასი ადამიანი), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.9%-ით მეტია.

აღსანიშნავია, რომ ახალი მეთოდოლოგით გადაანგარიშებული მონაცემების მიხედვით, 2020 წლამდე უმუშევრობის დონის ზრდა არ დაფიქსირებულა, ამ პოზიტიური ტენდენციის შეწყვეტის მთავარი მიზეზი კი სწორედ პანდემიის შედეგად გამოწვეული კრიზისია.

**უმუშევრობის მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში** გვიჩვენებს, რომ უმუშევრობის დონე ქალებში საგრძნობლად აღემატება მამაკაცებისას. კერძოდ, 2020 წელს ქალებში უმუშევრობის დონემ 16.2% შეადგინა (105.8 უმუშევარი), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 0.2%-ით აღემატება. ხოლო მამაკაცებში არსებული უმუშევრობის დონემ 12.8% (131.1 უმუშევარი) შეადგინა. 2020 წლის მდგომარეობით, მამაკაცებში უმუშევრობის დონე და უმუშევართა რაოდენობა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით უცვლელია.

*დიაგრამა 3. უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით*




საქართველოს შრომის ბაზრის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ახალგაზრდების დასაქმება რჩება. უმუშევრობის განსაკუთრებით მაღალი დონით სწორედ 15-24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს მიკუთვნებული ახალგაზრდები გამოირჩევიან. აღნიშნულს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. საქართველოში, სამუშაო ძალაში ჩართული ახალგაზრდები უმეტესწილად ეუფლებიან უმაღლეს განათლებას, ხოლო სწავლის დასრულების შემდეგ აწყდებიან შემდეგი რამდენიმე სახის პრობლემას: შრომის ბაზარზე არ არის მოთხოვნა მათ მიერ დაუფლებულ პროფესიებზე (1), მათ მიერ დაუფლებული პროფესია მაღალ კონკურენტულ პროფესიას განეკუთვნება (2), ან/და მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს (3). ამასთან, ამ კატეგორიაში გასათვალისწინებელია

ფრიქციული უმუშევრობის წილიც, რადგან ახალგაზრდებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით მეტი დრო სჭირდებათ სასურველი სამუშაოს მოსაძიებლად.

*დიაგრამა 4. უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით*




უმუშევრობის დონე ტრადიციულად ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიზეზია ის, რომ 65+ საპენსიო ასაკია და მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული, არ ეძებს სამუშაოს და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება.

2020 წელს, უმუშევრობის დონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 15-24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ფიქსირდება - 39.4%, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს მკვეთრად აღემატება, 11.6%-ით. სხვა ასაკობრივი ჯგუფების შემთხვევაში სხვაობა 2019-2020 წლის მაჩვენებლებს შორის საშუალოდ 0.6%-ია.

სამუშაო ძალის სტატისტიკის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვით გამოწვეული მონაცემთა გადაანგარიშებამ, ყველაზე მკვეთრი ცვლილება გამოიწვია **უმუშევრობის მაჩვენებლებში ქალაქად და სოფლად,** განსაკუთრებით ამ უკანასკნელის ნაწილში. თუ ძველი მეთოდოლოგიით უმუშევრობის დონე სოფლად 2010-2019 წლებში 5%-დან 7%-მდე მერყეობდა, ახალი მეთოდოლოგიით ანალოგიური მონაცემი 15-22%-იან მაჩვენებლებამდე გაიზარდა (სხვაობა ძველი და ახალი მეთოდოლოგიით გამოთვლილ მაჩვენებლებს შორის საშუალოდ 13.1%-ია).

*დიაგრამა 5. უმუშევრობის დონე (%) ქალაქად და სოფლად*




2020 წელს, უმუშევრობის დონემ ქალაქში 20.3% შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2.1%-ით აღემატება. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში, პანდემიური კრიზისის დადგომამდე, უმუშევრობა შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. განსაკუთრებით 2017-2019 წლებში, როდესაც უმუშევრობა 7%-ით შემცირდა. აღნიშნული ტენდენცია იძლევა ობიექტურ საფუძველს ვიფიქროთ, რომ ეკონომიკის აღდგენის პერიოდში უმუშევრობის მაჩვენებლები დაუბრუნდება პოსტ-პანდემიურ ტრენდს და კვლავ განაგრძობს შემცირებას. რაც შეეხება უმუშევრობის მაჩვენებლებს სოფლად - 2020 წელს უმუშევრობამ 15.8% შეადგინა. სოფლად არსებული შრომის ბაზრისთვის დამახასიათებელია თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი (2020 წელს 52%, 2010-2020 წლებში საშუალოდ 57%) როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამუშაო ძალის სტატისტიკის ახალი მეთოდოლოგით გადამუშავება, ითვალისწინებდა თვითდასაქმებულების ნაწილის უმუშევრებსა და სამუშაო ძალის გარეთ არსებულ მოსახლეობაში გადაკვალიფიცირებაში, შესაბამისად უმუშევრობის დონე სოფლად გაიზარდა. თუმცა ეკონომიკის გაჯანსაღების პირობებში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფარგლებში იგეგმება სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთობლივი ინვესტიცია 7 მილიარდი ლარის ოდენობით[1], რაც ბუნებრივია გამოიწვევს დასაქმების ზრდას და უმუშევრობის მაჩვენებლების შემცირებას.

რეგიონების მიხედვით არსებული უმუშევრობა და სამუშაო ძალის მობილობა მეტყველებს ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკის თანაბარზომიერად განვითარების აუცილებლობაზე. საკმაოდ დიდია სხვაობა რეგიონების მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილების მხრივ, რაც

[1] საქართველოს მთავრობა

აისახება სამუშაო ადგილების შექმნაზე, დასაქმების შესაძლებლობებსა და შრომით მიგრაციაზე.

*დიაგრამა 6. უმუშევრობის დონე (%) რეგიონების მიხედვით*




საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 50%-ზე მეტი თბილისზე მოდის. ასევე, ქვეყნის მასშტაბით მთლიანი დამატებული ღირებულების ნახევარი თბილისში იქმნება. შესაბამისად, რეგიონების მიხედვით ეკონომიკური აქტივობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არათანაბარზომიერი განაწილება გავლენას ახდენს შიდა მიგრაციაზე, სამუშაო ძალის მობილობა დედაქალაქისკენ არის მიმართული, რაც თავის მხრივ, ზრდის თბილისში უმუშევრობის დონეს. 2020 წელს, დედაქალაქში უმუშევრობის დონემ 20.1% შეადგინა (მე-3 ყველაზე მაღალი მაჩვენებელი), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3.8%-ით აღემატება (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ყველა რეგიონს შორის).

უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კახეთში ფიქსირდება - 10.4%, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3.1%-ით ნაკლებია. თავის მხრივ, უმუშევრობის შემცირების კუთხითაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

# დასაქმება

2020 წელს დასაქმების დონემ 41.1% შეადგინა, რაც 1,241.8 ათასი ადამიანის ტოლია. დასაქმების დონე წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.6%-ით შემცირდა, რისი გამომწვევი მიზეზიც პანდემია და სამუშაო ძალის მაჩვენებლების ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშება წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ დასაქმების მთავარ წყაროდ კვლავ არასახელმწიფო სექტორი რჩება. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა წილი მხოლოდ 24%-ია.

*დიაგრამა 7. დასაქმებულთა რაოდენობა და დასაქმების დონე*




სამუშაო ძალის სტატისტიკის დაანგარიშების ახალმა მეთოდოლოგიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია დასაქმების სტრუქტურაში, რამდენადაც საოჯახო მეურნეობებში დასაქმებულ პირთა ნაწილი თვითდასაქმებულებიდან გადაკვალიფიცირდნენ უმუშევრებსა და სამუშაო ძალის გარეთ არსებულ მოსახლეობაში.

*დიაგრამა 8. დასაქმების სტრუქტურა*




შესაბამისად, დასაქმების სტრუქტურაში დაქირავებით დასაქმებულთა წილი მნიშვნელოვნად აღემატება თვითდასაქმებულთა წილს. კერძოდ, 2020 წელს

დასაქმებულთა 68% დაქირავებით დასაქმებულებს წარმოადგენენ, ხოლო 32% თვითდასაქმებულებს.

დასაქმების დონე მამაკაცებში მნიშვნელოვნად აღემატება დასაქმების დონეს ქალებში. კერძოდ, 2020 წელს სამუშაო ძალაში ჩართული მამაკაცების 49.5% (695 ათასი კაცი) იყო დასაქმებული, ანალოგიური მაჩვენებელი ქალებში კი 33.9%-ს ტოლია (546.9 ათასი).

*დიაგრამა 9. დასაქმების დონე (%) სქესის მიხედვით*




წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მამაკაცების დასაქმების დონე შემცირდა 0.6%-ით. უფრო მაღალია დასაქმების დონის შემცირება ქალებში, 2020 წელს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით დასაქმების დონე ქალებში 2.3%-ით შემცირდა.

შესამჩნევი როლი ითამაშა მეთოდოლოგიურმა ცვლილებებმა დასაქმების სტრუქტურაში ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვითაც. თუ 2019 წლამდე დასაქმების სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის სექტორი დომინირებდა (2019 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითმა წილმა 38.1%-ს შეადგენდა),ახალი მდგომარეობა, მეტ-ნაკლებად თანაბარია (ახალი მეთოდოლოგიით გადაანგარიშების მიხედვით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილის  მაჩვენებელი 19.1%-ს გაუტოლდა).

2020 წელს დასაქმებულთა 19.8% სოფლის მეურნეობის სექტორში იყო დასაქმებული, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ხოლო, დასაქმებულთა რაოდენობამ 246.3 ათასი ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 0.5%-ით ნაკლებია.

გარდა სოფლის მეურნეობის სექტორისა, დასაქმების დონის ორნიშნა პროცენტული წილით გამოირჩევა შემდეგი სექტორები: საცალო და საბითუმო ვაჭრობა 15.1% (188

ათასი ადამიანი, 4%-ით ნაკლები წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე), განათლება - 11.7% (145.8 ათასი ადამიანი, წინა წლის მაჩვენებელზე 5%-ით ნაკლები) და მრეწველობა - 11.4% (141.3 ათასი ადამიანი, წინა წლის მაჩვენებელზე 4%-ით ნაკლები).

*დიაგრამა 10. დასაქმების დონე (%) და დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობების სახეების NACE Rev. 2 -ის მიხედვით (2020წ.)*




დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკის ზოგადი სურათი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით უარყოფითია, რისი ძირითადი მიზეზიც პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისია. ამ მხრივ, ყველაზე მეტად განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობების სექტორი დაზარალდა, 2019 წელთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა 26%-ით შემცირდა. ორნიშნა შემცირება დაფიქსირდა მშენებლობის სექტორში, 2020 წელს დასაქმებულთა რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 16%-ით შემცირდა მშენებლობის სექტორში. ასევე 16%-ით შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების სექტორში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 4%-ით გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა ინფორმაციისა და კომუნიკაციების სექტორში. ზრდა დაფიქსირდა ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქმიანობების სექტორში - 2020 წელს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 3%-ით.

დასაქმების სტრუქტურა პროფესიული ჯგუფებისა და ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით თანხვედრაშია ერთმანეთთან. პროფესიული ჯგუფების მიხედვით დასაქმებულების კუთხითაც ყველაზე ფართოდ არიან წარმოდგენილები სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები (17.8%).

ასევე ორნიშნა პროცენტული წილით ხასიათდება შემდეგი ძირითადი პროფესიული ჯგუფები: სპეციალისტები - 17.5% (217.7 ათასი დასაქმებული), მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 16.7% (207.5 ათასი ადამიანი), ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 10.4% (128.8 ათასი ადამიანი).

*დიაგრამა 11. დასაქმებულთა რაოდენობა და დასაქმებულთა წილი პროფესიული ჯგუფების მიხედვით ISCO 08*



# მიგრაცია

2019 წლამდე საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული სალდოს მაჩვენებელი მუდმივად უარყოფითი იყო. პანდემიამ და გლობალურმა კრიზისმა ეს ინდიკატორიც შეცვალა, რისი გამომწვევი ძირითადი მიზეზიც ქვეყნებს შორის შეწყვეტილი მიმოსვლა, ჩაკეტილი სახმელეთო და საჰაერო საზღვრები იყო.

შესაბამისად, 2020 წელს, ემიგრანტების რიცხოვნობამ 74.3 ათასი ადამიანი შეადგინა, რაც 2019 წლის მაჩვენებელზე 29%-ით ნაკლებია. ამავე პერიოდში, იმიგრანტების რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 7%-ით შემცირდა და 89.9 ათასი კაცი შეადგინა. შედეგად, 2020 წელს მიგრაციულმა სალდომ (სხვაობა იმიგრანტებისა და ემიგრანტების რიცხოვნობას შორის) 15.7 ათასი კაცი შეადგინა.

*დიაგრამა 12. მიგრაციული სალდო*



# კერძო სექტორის როლი დასაქმების მაჩვენებლებში

კერძო სექტორის მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების ზრდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამასთან, ეკონომიკის განვითარებისთვის უცილებელია განხორციელდეს შრომის ბაზრის სტრუქტურის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება. ასევე, მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობის შემცირების მიზნით შესაბამისი აქტივობების განხორციელება.

2020 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობამ 703.8 ათასი ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 7%-ით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2009 წლიდან მოყოლებული ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა.

*დიაგრამა 13. დასაქმება ბიზნეს სექტორში*




ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი, ტრადიციულად, თბილისშია თავმოყრილი. 2020 წელს დასაქმებულთა 63% სწორედ დედაქალაქზე მოდის, შემდეგ მოდის აჭარა - 10% და იმერეთი - 8%. რაც შეეხება, დასაქმებულთა განაწილებას საწარმოთა ზომების მიხედვით: 41% - დასაქმებულია მცირე ზომის საწარმოებში, 37% - მსხვილ, ხოლო 22% - საშუალო ზომის საწარმოებში.

2020 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ 1,222.9 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 5.3%-ით აღემატება.

# დასაქმება სექტორულ ჭრილში

ბიზნეს სექტორში დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით 2020 წელს საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორი გამოირჩევა (197.3 ათასი დასაქმებული), შემდეგ მოდის მრეწველობისა (129.8 ათასი) და ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (75.6 ათასი).

პანდემიით გამოწვეული კრიზისი ყველა ეკონომიკურ სექტორს შეეხო, რაც დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებაში აისახა. ყველაზე დიდი შემცირება განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების სექტორში დაფიქსირდა - 2020 წელს, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა 35%-ით შემცირდა. ციფრული სერვისების დანერგვამ და დისტანციური მუშაობის პრაქტიკის შემოღებამ მნიშვნელოვნად დააზარალა ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების სექტორი, სადაც დასაქმების მაჩვენებლების შემცირებამ 27% შეადგინა. ასევე ორნიშნა პროცენტული შემცირება დაფიქსირდა პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების სექტორშიც (-13%).

*დიაგრამა 14. დასაქმებულთა რაოდენობა და ერთი დასაქმებულის დამატებული ღირებულება სექტორების მიხედვით*




ერთ დასაქმებულზე არსებული დამატებული ღირებულების მიხედვით გამორჩეულია ხელოვნება, გართობა, დასვენების სექტორი - 53.3 ათასი ლარი. ასევე

გამორჩეულია მშენებლობის (52.5 ათასი ლარი), ინფორმაციისა და კომუნიკაციისა (49.7 ათასი ლარი) და უძრავი ქონების (48.2 ათასი ლარი) სექტორები.

გასულ წლებში ყველაზე დაბალი მწარმოებლურობით გამოირჩეოდა სოფლის მეურნეობის სექტორი. აღსანიშნავია, რომ 2019-2020 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრად გაზრდილია. კერძოდ, დამატებულმა ღირებულებამ ერთ დასაქმებულზე სოფლის მეურნეობის სექტორში 19.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 54.4%-ით აღემატება.

2019 წელს მწარმოებლურობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში დაფიქსირდა - 14.7 ათასი ლარი.

## მრეწველობა

2020 წელს მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 129,759 ადამიანი შეადგინა, რაც მთლიანი ბიზნეს სექტორის დასაქმების 18%-ს შეადგენს. 2020 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა. კლებამ 0.2% შეადგინა.

*დიაგრამა 15. დასაქმებულთა რაოდენობა მრეწველობის სექტორში (განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით)*




2020 წლის მონაცემების მიხედვით, მრეწველობის სექტორში დასაქმებულთაგან 49.9% მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 21.8% - საშუალო, ხოლო 28.3% - მცირე ზომის საწარმოებზე. რაც შეეხება დასაქმებულთა განაწილებას რეგიონების მიხედვით: 45.9% თბილისზე მოდის, მას მოჰყვება იმერეთი - 12.9% და ქვემო ქართლი - 11.7%.

მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: უმრავლესობა დამამუშავებელი მრეწველობის სექტორშია დასაქმებული (68.8%), შემდეგ მოდის ენერგეტიკა (12.2%), წყალმომარაგება (11.3%) და სამთომოპოვებითი მრეწველობა (7.8%).

მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ 2020 წელს 1,196.4 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 7%-ით აღემატება. აღსანიშნავია, რომ მრეწველობის სექტორის საშუალო ანაზღაურება მთლიანი ბიზნეს სექტორის საშუალო ანაზღაურებას 2.2%-ით ჩამორჩება.

*დიაგრამა 16. შრომის ანაზღაურება მრეწველობის სექტორში დარგების მიხედვით 2020 წ.*




დარგების მიხედვით ყველაზე მაღალი ანაზღაურება სამთომოპოვებითი მრეწველობაშია - 1,779.4.1 ლარი; შემდეგ მოდის ენერგეტიკა - 1,499.8 ლარი; დამამუშავებელი მრეწველობა - 1,110.7 ლარი, ბოლოს კი წყალმომარაგება - 973.4 ლარი.

## მშენებლობა

2020 წელს მშენებლობის სექტორში დასაქმებული იყო 66,146 ადამიანი, რაც ბიზნეს სექტორში დასაქმების 9.4%-ია.

2020 წელს წინა წელთან შედარებით მშენებლობის სექტორში 5.4%-ით შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა. ბოლო წლებში მშენებლობის სექტორში ყველაზე მეტი ადამიანი მცირე ზომის საწარმოებშია დასაქმებული. აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდა 2020 წელსაც: 44.6% მცირე ზომის საწარმოებშია დასაქმებული, 32.8% - საშუალო, ხოლო 22.6% - მსხვილი ზომის საწარმოებში.

*დიაგრამა 17. მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით*




მშენებლობის სექტორში საშუალო თვიური ხელფასი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. 2020 წელს მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 1,726 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 5.1%-ით მეტია. აქვე, აღსანიშნავია, რომ იგი ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელს 41.1%-ით აღემატება.

*დიაგრამა 18. შრომის ანაზღაურება მშენებლობის სექტორში (ლარი)*



## ვაჭრობა

ბიზნეს სექტორის დასაქმებაში ყველაზე მაღალი წილით საცალო და საბითუმო ვაჭრობის სექტორი გამოირჩევა. 2020 წლის მონაცემებით, ვაჭრობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 197,335 ათასი ადამიანი შეადგინა (7%-ით ნაკლები წინა წელთან შედარებით), რაც კერძო სექტორში დასაქმებულთა 28%-ია.

*დიაგრამა 19. დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი ვაჭრობის სექტორში*




ბოლო წლებში ვაჭრობის სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება მუდმივად მზარდი ტენდენციით გამოირჩევა. 2020 წელს, წინა წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 7%-ით გაიზარდა და 1,036,5 ლარი შეადგინა, თუმცა მაინც ჩამორჩება ბიზნეს სექტორში არსებულ საშუალო მაჩვენებელს (15%-ით ნაკლები).

## სოფლის მეურნეობა

ბიზნეს სექტორის დასაქმებაში სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის წილი ყველაზე მცირეა. 2020 წელს დასაქმებული იყო 12,286 ადამიანი, რაც ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 1.7%-ია.

2020 წელს გასულ წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის სექტორში 3.7% შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა.

ბიზნეს სექტორის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ყველაზე დაბალია. 2019 წელს საშუალო თვიურმა ხელფასმა 817.5 ლარი შეადგინა, რაც ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელზე 33%-ით ნაკლებია.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, 2020 წელს საშუალო ხელფასი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, 16,5%-ით აღემატება.

*დიაგრამა 20. დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი (ლარი) სოფლის მეურნეობაში*




## ტრანსპორტირება და დასაწყობება

2020 წელს ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულ პირთა რიცხოვნობამ 56,828 ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 7.1%-ით აღემატება. აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა წილი ბიზნეს სექტორში დასაქმების 8.1%-ია.

*დიაგრამა 21. ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით*




2020 წელს ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა 52.3% მუშაობდა მსხვილი ზომის საწარმოებში, 36.6% - მცირე ზომის, ხოლო 11.4% - საშუალო ზომის საწარმოებში.

დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურება: თბილისი - 63.1%; აჭარა - 13.3%, სამეგრელო ზემო სვანეთი - 11.3%. სხვა დანარჩენი რეგიონების ცალკე აღებული წილი არ აღემატება 4%-ს.

ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა ყველაზე მაღალი წილი სახმელეთო ტრანსპორტზე მოდის (66.2%). მას მოჰყვება დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები (25.2%), საფოსტო და საკურიერო მომსახურება (6.9%), ხოლო წყლის ტრანსპორტისა და საჰაერო ტრანსპორტის წილი 2%-ზე დაბალია.

ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება 1,435.7 ლარია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4%-ით აღემატება. აქვე, აღსანიშნავია, რომ სექტორის საშუალო თვიური ანაზღაურება ზოგადად ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელზე 17%-ით მეტია.

*დიაგრამა 22. ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (2020)*




2020 წლის განმავლობაში საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი სწორედ ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სფეროში დაფიქსირდა, კონკრეტულად წყლის ტრანსპორტის დარგში - 4,055.6 ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 3.8-ჯერ აღემატება.

## უძრავი ქონება

2020 წელს უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 18,184 ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 6%-ით ნაკლებია. მისი წილი ბიზნეს სექტორში დასაქმების 2.6%-ია.

2020 წელს უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 1,188.4 ლარი იყო, რაც წინა წლის მაჩვენებელს 1%-ით ჩამორჩება, ხოლო ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელს კი 3%-ით.

*დიაგრამა 23. უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო თვიური ხელფასი (ლარი)*




## სასტუმროები და რესტორნები

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული დარგია. პანდემიისგან გამოწვეულმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაზე დიდი გავლენა სწორედ სტუმარ-მასპინძლობის სექტორზე იქონია. საერთაშორისო და შიდა ტურიზმის შემცირება რთულად აისახა სექტორში არსებული დასაქმების მაჩვენებლებზეც. თუ 2019 წლამდე სექტორი სტაბილურად მზარდი ტენდენციების გამოირჩეოდა, 2020 წელს დასაქმებულთა რაოდენობამ 31,823 ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 35%-ით ჩამორჩება. ამავე პერიოდში სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებული იყო ბიზნეს სექტორში დასაქმების 4.5%.

სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში დასაქმებულთა უდიდესი წილი მცირე ზომის საწარმოებში არის დასაქმებული - 54.4%, შემდეგ მოდის საშუალო ზომის საწარმოები - 26.6% და ბოლო მსხვილი ზომის საწარმოები - 19%.

*დიაგრამა 24. სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით*




აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტი აქტივობა ძირითადად ორ რეგიონზე მოდის. დასაქმების ყველაზე მაღალი წილით გამოირჩევა თბილისი (56%), მას მოჰყვება აჭარა - 17%, ხოლო სხვა რეგიონების ცალკე აღებული ხვედრითი წილი არ აღემატება 5%-ს.

2020 წელს სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელს 33%-ით ჩამორჩა და 822.1 ლარი შეადგინა. სასტუმროებში საშუალო თვიური ხელფასი მნიშვნელოვნად აღემატება რესტორნებში საშუალო თვიურ ხელფასს (62%-ით მეტი).

*დიაგრამა 25. სასტუმროებსა და რესტორნებში საშუალო თვიური ხელფასი (ლარი)*



**საყურადღებოა, რომ საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების, ასევე ქვეყანაში ეკონომიკის სწრაფი აღდგენის მიზნით განხორციელებული და სამომავლოდ განსაზღვრულ აქტივობათა გათვალისწინებით, დასაქმების მნიშვნელოვანი შესაძლებლობებია მოსალოდნელი:**

- <u>პანდემიასთან თანაარსებობის პირობებში ეკონომიკის გახსნა</u> - 2021 წლის გაზაფხულიდან წინა წლისგან განსხვავებით, ეკონომიკის გახსნამ და მნიშვნელოვანი შეზღუდვების მოხსნამ მაღალი ეკონომიკური აქტივობა განაპირობა, ეკონომიკის დახმარება არა სუბსიდიების, არამედ გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული ეკონომიკური პროექტებით განხორციელდა, ხოლო ეკონომიკურმა სტაბილურობამ და პროგნოზირებადობამ ეროვნული ვალუტის კურსისთვის შექმნა ხელსაყრელი გარემო, რამაც თავის მხრივ ბიზნეს სექტორის განვითარებას შეუწყო ხელი, აღნიშნული კი პარალელურად გამოიწვევს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდას;
- <u>კაპიტალის ბაზრის რეფორმა</u> - კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით რამდენიმე ფართომასშტაბიანი რეფორმა განხორციელდა, რომელიც ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას ფინანსური განვითარების გზით, მის ეროვნულ დანაზოგზე გავლენისგან დამოუკიდებლად. აღნიშნული წარმოშობს მოთხოვნას შესაბამის პროფესიულ ჯგუფებზე;
- <u>შრომის უსაფრთხოება</u> - ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოების ფარგლებში, მთავრობის მიერ აღებული იქნა ვალდებულება დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების მიმართულებით. აღნიშნული გულისხმობს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე გავრცელების ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებას. აღნიშნულის შედეგად, გაგრძელდება მოთხოვნის ზრდა შრომის უსაფრთხოების ექსპერტებთან მიმართებით;
- <u>განახლებადი ენერგიის ათვისება და ენერგოეფექტურობა</u> - განახლებადი ენერგიის ათვისების და ენერგოეფექტურობის კუთხით ახალი საკანონმდებლო რეგულაციების შემოღება თავის მხრივ გამოიწვევს მოთხოვნას შესაბამის კადრზე. კერძოდ:

  ენერგეტიკის სექტორისთვის საჭიროა შემდეგი პროფესიული ჯგუფები:
  - ენერგომომსახურების მიმწოდებელი;
  - აღრიცხვის ჭკვიანი სისტემის დანერგვის სპეციალისტი;
  - ენერგიის დაზოგვის ტექნიკური სპეციალისტი;
  - რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ექსპერტი;
  - საწარმოს ენერგეტიკული წარმადობის ანალიტიკოსი;
  - საწარმოს გარემოსდაცვითი და ენერგეტიკული მენეჯერი;

- სამრეწველო მომსახურების მენეჯერი;
- ენერგოდანაზოგების მონიტორინგისა და ვერფიკაციის განმახორციელებლები.

განახლებადი ენერგიების მოწყობილობების მიმართებით:

- განახლებადი ენერგიის მოწყობილობების მონტაჟის სპეციალისტები;
- განახლებადი ენერგიის მოწყობილობების შეკეთება-რემონტის სპეციალისტები;
- განახლებადი ენერგიის (ქარი, მზე) ენერგო სადგურების მემონტაჟეები, ასევე ჰიდროლოგები.

ენერგოეფექტური ტექნოლოგიების და მოწყობილობების მიმართულებით:

- ენერგოეფექტური მოწყობილობების მონტაჟის სპეციალისტები;
- ენერგოეფექტური მოწყობილობების შეკეთება-რემონტის სპეციალისტები;
- ცალკეული მოწყობილობების ენერგოეფექტურობის გაზრდის სპეციალისტები;
- სამრეწველო ობიექტების გათბობისა და გაგრილების სისტემების ინჟინერი.

გადამცემი სისტემისათვის საჭირო მიკროსპეციალობებიდან:

- სისტემის დისპეჩერი;
- სარელეო დაცვის ინჟინერი. უზრუნველყოს ქვესადგურებში დაცვისა და მართვის ციფრული სისტემების მუშაობა;
- გაზომვების ინჟინერი (დიაგნოსტიკა). გაზომვების საფუძველზე სწორად დაგეგმოს სარემონტო სამუშაოები მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად.
- აღრიცხვის წრედების ინჟინერი. შეადგინოს აღრიცხვის წრედები, რაც მონეტარულად აისახება კომპანიის საქმიანობაზე.

- <u>საქართველო, როგორც რეგიონალური ჰაბი</u> - საქართველოს ინტეგრაცია საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის სატრანსპორტო, ლოგისტიკური, საკომუნიკაციო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებას და შედეგად, როგორც საჯარო, ისე კერძო ინვესტიციების მოზიდვას. აღნიშნულის შედეგად გაჩნდება მოთხოვნა შესაბამის პროფესიებზე;
- <u>ადგილობრივი წარმოების განვითარება</u> - ქვეყნის პრიორიტეტია ადგილობრივი წარმოების განვითარება. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს ფარგლებში ამოქმედდა საკრედიტო საგარანტიო მექანიზმი, რომელიც ადგილობრივი

წარმოების ხელშეწყობასა და განვითარებაზეა ორიენტირებული. აღნიშნული კი შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს;

- <u>ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარება</u> - დღეს თანამედროვე მსოფლიო ტექნოლოგიური განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, რომლის კვალდაკვალ ქვეყანაში არაერთი პროექტი ხორციელდება ინოვაციური პროექტების მხარდასაჭერად და წარმოების პროცესში თანამედროვე ტენდენციების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, რაც თავის მხრივ შესაბამისი კვალიფიკაციის სამუშაო ძალაზე გააჩენს მოთხოვნას.

## HR.GE-ზე 2020 წელს გამოქვეყნებული ვაკანსიების მიმოხილვა

2020 წელს კოვიდ-19 პანდემიის შედეგად გამოწვეულმა კრიზისმა სერიოზული გავლენა იქონია დასაქმების კერძო სააგენტო - HR.GE-ში შესული ვაკანსიების სიმრავლეზე. 2020 წელს დასაქმების კერძო სააგენტოს - HR.GE ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ვაკანსიების საერთო რაოდენობამ დაახლოებით 42 ათასი შეადგინა, რაც დაახლოებით 35%-ით ჩამორჩება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

გამოქვეყნებული ვაკანსიების უმრავლესობა ტექნიკოსებისა და დამხმარე სპეციალისტების პროფესიულ ჯგუფზე მოდის - 24.1% (10,082 ვაკანსია). ასევე, მაღალია მოთხოვნა შემდეგ პროფესიულ ჯგუფებზე - სპეციალისტები - 21.1% (8,854 ვაკანსია), მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირები - 19.8% (8,278 ვაკანსია) და ოფისის დამხმარე პერსონალი - 13.2% (5,542 ვაკანსია).

*დიაგრამა 26. HR.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (2020 წ.)*



2019 წლის მონაცემებთან შედარებით, 2020 წელს გამოქვეყნებული ვაკანსიები თითქმის ყველა პროფესიული ჯგუფისთვის შემცირდა. პანდემიამ ყველაზე მეტად მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებულ პირებზე შეამცირა მოთხოვნა - 2019 წელთან შედარებით გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა 47.8%-ით შემცირდა (7,577 ვაკანსია).

*დიაგრამა 27. HR.ge-ზე 2019-20 წლებში გამოქვეყნებული ვაკანსიების შედარება*




ასევე, მაღალი პროცენტული სხვაობა ფიქსირდება ოფისის დამხმარე პერსონალის პროფესიულ ჯგუფშიც - 2019 წელთან შედარებით ვაკანსიების რაოდენობა 44.1%-ით შემცირდა (4,381 ვაკანსია).

ყველა სხვა პროფესიული ჯგუფის შემთხვევაში, გარდა სოფლის მეურნეობის დარგის კვალიფიციური მუშაკებისა, გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა შემცირებულია საშუალოდ 30%-ით.

## ძირითადი ჯგუფი: ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები

ტექნიკოსებსა და დამხმარე სპეციალისტებზე წარმოდგენილი ვაკანსიები მოიცავს ინჟინერიის, სამედიცინო, ბიზნესის, ტურიზმისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგებს, რომლებზეც საკვალიფიკაციო მოთხოვნა ითვალისწინებს უმაღლეს განათლებას და უმეტესწილად გამოირჩევა მაღალი ანაზღაურებით.

ტექნიკოსებისა და დამხმარე სპეციალისტების ძირითადი ჯგუფიდან ვაკანსიების უმრავლესობა მოდის ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტების ქვეჯგუფზე - 7,638 ვაკანსია (75.8%). კერძოდ: კომერციული გაყიდვების წარმომადგენლებზე - 4,174 ვაკანსია, საკრედიტო სესხის ოფიცრებზე - 1,297 ვაკანსია, ოფისის ზედამხედველებზე - 822 ვაკანსია. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით ოფისის ზედამხედველების პროფესიული ჯგუფისთვის გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა 42%-ით შემცირდა.

ზოგადად მაღალია მოთხოვნა IT ტექნიკოსებსა და ჯანდაცვის დამხმარე სპეციალისტებზე, რომელთა შორის აღსანიშნავია სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალი (505), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის მხარდაჭერის ტექნიკოსები (423) და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირების ტექნიკოსები (335).

*ცხრილი 1. ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები*

| 3 | ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 33 | ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტები | 7,638 | 75.8% |
| 35 | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსები | 870 | 8.6% |
| 32 | ჯანდაცვის დამხმარე სპეციალისტები | 802 | 8.0% |
| 31 | მეცნიერების და ტექნიკის დამხმარე სპეციალისტები | 539 | 5.3% |
| 34 | სამართლის, სოციალური, კულტურისა და მონათესავე დარგების დამხმარე სპეციალისტები | 233 | 2.3% |
| | **სულ** | **10,082** | |

| 31 | მეცნიერების და ტექნიკის დამხმარე სპეციალისტები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 3123 | მშენებლობის ზედამხედველები | 166 | 30.8% |
| 3139 | პროცესის კონტროლის ტექნიკოსები სხვა დაჯგუფებაში ჩაურთველი | 109 | 20.2% |
| 3118 | მხაზველები | 101 | 18.7% |
| 3112 | სამოქალაქო ინჟინერიის ტექნიკოსები | 91 | 16.9% |
| 3113 | ელექტროტექნიკოსები | 47 | 8.7% |
| 3111 | ქიმიური და ფიზიკური მეცნიერებების ტექნიკოსები | 21 | 3.9% |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3117 | სამთომოპოვებითი მრეწველობის და მეტალურგიის ტექნიკოსები | 4 | 0.7% |
| | **სულ** | **539** | |

| 32 | ჯანდაცვის დამხმარე სპეციალისტები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 3256 | სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალი | 505 | 63.0% |
| 3212 | სამედიცინო და პათოლოგიური ლაბორატორიის ტექნიკოსები | 145 | 18.1% |
| 3257 | გარემოსა და პროფესიული ჯანდაცვის სფეროს ინსპექტორები და დამხმარეები | 62 | 7.7% |
| 3258 | სასწრაფო დახმარების პერსონალი | 42 | 5.2% |
| 3255 | ფიზიოთერაპიის ტექნიკოსები და ასისტენტები | 31 | 3.9% |
| 3211 | რენტგენოლოგიისა და თერაპევტიული აღჭურვილობის ტექნიკოსები | 17 | 2.1% |
| | **სულ** | **802** | |

| 33 | ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 3322 | კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები | 4174 | 54.6% |
| 3312 | საკრედიტო და სესხის ოფიცრები | 1297 | 17.0% |
| 3341 | ოფისის ზედამხედველები | 822 | 10.8% |
| 3321 | სადაზღვევო წარმომადგენლები | 433 | 5.7% |
| 3323 | შემსყიდველები | 345 | 4.5% |
| 3313 | საბუღალტრო სფეროს სპეციალისტები | 268 | 3.5% |
| 3334 | უძრავი ქონების აგენტები და ქონების მენეჯერები | 244 | 3.2% |
| 3342 | სამართლებრივი სფეროს მდივნები | 25 | 0.3% |
| 3332 | კონფერენციებისა და ღონისძიებების ორგანიზატორები | 15 | 0.2% |
| 3335 | სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ბიზნეს მომსახურების აგენტი | 10 | 0.1% |
| 3324 | სასაქონლო ბროკერი | 5 | 0.1% |
| | **სულ** | **7638** | |

| 34 | სამართლის, სოციალური, კულტურისა და მონათესავე დარგების დამხმარე სპეციალისტები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 3434 | შეფმზარეულები | 96 | 41.2% |
| 3432 | ინტერიერის დიზაინერები და დეკორატორები | 64 | 27.5% |
| 3431 | ფოტოგრაფები | 34 | 14.6% |
| 3423 | ფიტნეს და სპორტული დასვენების ინსტრუქტორები და სპორტული პროგრამის ხელმძღვანელები | 23 | 9.9% |
| 3422 | სპორტის მწვრთნელები, ინსტრუქტორები და სპორტთან დაკავშირებული ოფიციალური პირები | 14 | 6.0% |
| 3433 | გალერეის, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მუშაკები | 1 | 0.4% |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3435 | ხელოვნებისა და კულტურის სფეროს სხვა დამხმარე სპეციალისტები | 1 | 0.4% |
| | **სულ** | **233** | |

| 35 | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 3512 | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის მხარდაჭერის ტექნიკოსები | 423 | 48.6% |
| 3511 | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირების ტექნიკოსები | 335 | 38.5% |
| 3521 | რადიომაუწყებლობისა და აუდიოვიზუალის ტექნიკოსები | 60 | 6.9% |
| 3513 | კომპიუტერული ქსელისა და სისტემის ტექნიკოსები | 52 | 6.0% |
| | **სულ** | **870** | |

## ძირითადი ჯგუფი: სპეციალისტები

მოცემულ ძირითად ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს ანალიზსა და კვლევას. აგრეთვე კონცეფციების, თეორიებისა და სამოქმედო მეთოდიკის შემუშავებას. შესაძლებელია, მოიცავდეს სხვა სპეციალისტების ზედამხედველობასაც.

2020 წელს სპეციალისტების ძირითადი პროფესიული ჯგუფებისთვის 8,854 ვაკანსია გამოქვეყნდა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 20%-ით ნაკლებია.

სპეციალისტების ძირითადი პროფესიული ჯგუფისთვის გამოქვეყნებული ვაკანსიების განაწილება ქვეჯგუფების მიხედვით მეტ-ნაკლებად თანაბარია. გამორჩეული ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტების ქვეჯგუფია, გამოქვეყნებული ვაკანსიების 36.3% სწორედ მათზე მოდის (3,212 ვაკანსია). შემდეგ მოდიან ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები - 17.4% (1,542 ვაკანსიები), ჯანდაცვის სპეციალისტები - 16.9% (1,495 ვაკანსია), ასევე ორნიშნა პროცენტული წილით ხასიათდება მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები - 14.4% (1,278 ვაკანსია).

*ცხრილი 2 სპეციალისტები*

| 2 | სპეციალისტები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 24 | ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტები | 3212 | 36.3% |
| 25 | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები | 1542 | 17.4% |
| 22 | ჯანდაცვის სპეციალისტები | 1495 | 16.9% |

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 | მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები | 1278 | 14.4% |
| 23 | განათლების სპეციალისტები | 695 | 7.8% |
| 26 | სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროთა სპეციალისტები | 632 | 7.1% |
| | **სულ** | **8854** | |

| 21 | მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 2166 | გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერები | 398 | 31.1% |
| 2153 | ტელეკომუნიკაციების ინჟინრები | 235 | 18.4% |
| 2142 | სამოქალაქო მშენებლობის ინჟინრები | 162 | 12.7% |
| 2161 | შენობის არქიტექტორები | 121 | 9.5% |
| 2149 | სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ინჟინერიის სპეციალისტები | 87 | 6.8% |
| 2144 | ინჟინერ-მექანიკოსები | 86 | 6.7% |
| 2151 | ინჟინერ-ელექტრიკოსები | 65 | 5.1% |
| 2146 | სამთო ინჟინრები, მეტალურგები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები | 34 | 2.7% |
| 2141 | მრეწველობისა და წარმოების ინჟინრები | 17 | 1.3% |
| 2133 | გარემოს დაცვის სპეციალისტები | 15 | 1.2% |
| 2145 | ინჟინერ-ქიმიკოსები | 14 | 1.1% |
| 2113 | ქიმიკოები | 11 | 0.9% |
| 2114 | გეოლოგები და გეოფიზიკოსები | 11 | 0.9% |
| 2111 | ფიზიკოსები და ასტრონომები | 8 | 0.6% |
| 2152 | ელექტრონიკის ინჟინრები | 5 | 0.4% |
| 2115 | ინჟინერ-ელექტრიკოსები | 4 | 0.3% |
| 2120 | მათემატიკოსები, აქტუარები და სტატისტიკოსები | 2 | 0.2% |
| 2163 | პროდუქციისა და ტანსაცმლის დიზაინერები | 2 | 0.2% |
| 2131 | ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე სფეროების სპეციალისტები | 1 | 0.1% |
| | **სულ** | **1278** | |

| 22 | ჯანდაცვის სპეციალისტები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 2212 | მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსები | 378 | 25.3% |
| 2221 | სპეციალისტი ექთნები | 336 | 22.5% |
| 2262 | ფარმაცევტები | 279 | 18.7% |
| 2261 | სტომატოლოგები | 175 | 11.7% |
| 2211 | მედიცინის პრაქტიკოსები | 173 | 11.6% |
| 2264 | ფიზიოთერაპევტები | 77 | 5.2% |
| 2263 | გარემოს, პროფესიული ჯანდაცვისა და ჰიგიენის სფეროს სპეციალისტები | 27 | 1.8% |
| 2250 | ექიმი-ვეტერინარები | 23 | 1.5% |
| 2265 | დიეტოლოგები და კვების სპეციალისტები | 23 | 1.5% |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2222 | სპეციალისტი მეანები | 2 | 0.1% |
| 2226 | აუდიოლოგები და მეტყველების სპეციალისტები | 2 | 0.1% |
| | **სულ** | **1495** | |

| 23 | განათლების სპეციალისტები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 2353 | უცხო ენის მასწავლებლები | 178 | 25.6% |
| 2342 | სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელები | 162 | 23.3% |
| 2330 | საშუალო განათლების მასწავლებლები | 156 | 22.4% |
| 2310 | უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების მასწავლებლები | 120 | 17.3% |
| 2359 | სხვა დაჯგუფებებში ჩარურთველი მასწავლებლები | 78 | 11.2% |
| 2355 | ხელოვნების მასწავლებლები | 1 | 0.1% |
| | **სულ** | **695** | |

| 24 | ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 2411 | ბუღალტრები | 1447 | 45.0% |
| 2431 | რეკლამირებისა და მარკეტინგის სფეროს პროფესიონალები | 1168 | 36.4% |
| 2423 | პერსონალისა და კარიერული წინსვლის სპეციალისტი | 317 | 9.9% |
| 2413 | ფინანსური ანალიტიკოსი | 129 | 4.0% |
| 2421 | მართვისა და ორგანიზაციის ანალიტიკოსები | 85 | 2.6% |
| 2432 | საზოგადოებასთან ურთიერთობების სპეციალისტები | 54 | 1.7% |
| 2433 | ტექნიკური და სამედიცინო გაყიდვების სპეციალისტები (გარდა ინფორმაციული და .საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა – ICT) | 12 | 0.4% |
| | **სულ** | **3212** | |

| 25 | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 2512 | პროგრამისტები | 1118 | 72.5% |
| 2519 | სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი კომპიუტერული პროგრამებისა და აპლიკაციების განვითარების სპეციალისტები და ანალიტიკოსები | 152 | 9.9% |
| 2521 | მონაცემთა ბაზის დიზაინერები და ადმინისტრატორები | 137 | 8.9% |
| 2514 | აპლიკაციების პროგრამისტები | 87 | 5.6% |
| 2511 | სისტემების ანალიტიკოსები | 26 | 1.7% |
| 2529 | სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი მონაცემთა ბაზისა და ქსელების სპეციალისტები | 22 | 1.4% |
| | **სულ** | **3212** | |

| 26 | სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროთა სპეციალისტები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 2611 | იურისტები | 274 | 43.4% |
| 2642 | ჟურნალისტები | 96 | 15.2% |
| 2643 | მთაგმნელები, თარჯიმნები და სხვა ლინგვისტები | 67 | 10.6% |
| 2634 | ფსიქოლოგები | 32 | 5.1% |
| 2632 | სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე სფეროთა სპეციალისტები | 30 | 4.7% |
| 2621 | არქივარიუსები და მუზეუმის კურატორები | 20 | 3.2% |
| 2659 | სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი შემოქმედებითი და საშემსრულებლო არტისტები | 16 | 2.5% |
| 2631 | ეკონომისტები | 15 | 2.4% |
| 2619 | სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი სამართლის სპეციალისტები | 14 | 2.2% |
| 2641 | მწერლები, პოეტები და სხვა ლიტერატორები | 14 | 2.2% |
| 2635 | სოციალური სამუშაოებისა და კონსულტაციების სფეროთა სპეციალისტები | 12 | 1.9% |
| 2654 | ფილმის, სასცენო და მონათესავე სფეროთა რეჟისორები და პროდიუსერები | 11 | 1.7% |
| 2651 | სახვითი ხელოვნების მხატვრები | 9 | 1.4% |
| 2652 | მუსიკოსები, მომღერლები და კომპოზიტორები | 7 | 1.1% |
| 2622 | ბიბლიოთეკარები და მონათესავე სფეროთა სპეციალისტები | 5 | 0.8% |
| 2656 | რადიოს, სატელევიზიო და სხვა მედიასაშუალებების დიქტორები | 5 | 0.8% |
| 2653 | მოცეკვავეები და ქორეოგრაფები | 3 | 0.5% |
| 2655 | მსახიობები | 2 | 0.3% |
| | **სულ** | **632** | |

## ძირითადი ჯგუფი: მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პერსონალი

მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს სპეციალისტები უზრუნველყოფენ ისეთ პერსონალურ და დამცველობით მომსახურებებს, რომლებიც დაკავშირებულია მოგზაურობასთან, საოჯახო, საზოგადოებრივ და პირად საზრუნავთან, ხანძრისა და უკანონო ქმედებებისგან დაცვასთან. ყიდიან საქონელს საბითუმო და საცალო ვაჭრობის მაღაზიებსა ან სხვა მსგავს დაწესებულებებში, აგრეთვე, ჯიხურებსა და ბაზრებში.

2020 წლის განმავლობაში მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პერსონალის ძირითადი პროფესიული ჯგუფისთვის 8,278 ვაკანსია გამოქვეყნდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 47.8%-ით ნაკლებია.

გამოცხადებული ვაკანსიების 57.5% გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირებისთვის განკუთვნილ ქვეჯგუფზე მოდის, სადაც ძირითადად მაღაზიის კონსულტანტ-გამყიდვლები და მოლარე-ოპერატორები არიან წარმოდგენილები. პირადი მომსახურების სპეციალისტების ქვეჯგუფზე მოდის გამოცხადებულ ვაკანსიათა 26.8% (მზარეულები, მიმტანები, სტილისტები...). ასევე ორნიშნა პროცენტული წილით ხასიათდება მოსახლეობისა და საკუთრების დამცველი სამსახურების მუშაკების ქვეჯგუფი - 15%.

*ცხრილი 3 მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები*

| 5 | მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 52 | გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირები | 4,762 | 57.5% |
| 51 | პირადი მომსახურებების სპეციალისტები | 2,215 | 26.8% |
| 54 | მოსახლეობისა და საკუთრების დამცველი სამსახურების მუშაკები | 1,242 | 15.0% |
| 53 | ინდივიდუალური მომვლელები | 59 | 0.7% |
| | **სულ** | **8,278** | |

| 51 | პირადი მომსახურებების სპეციალისტები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 5120 | მზარეულები | 590 | 26.6% |
| 5131 | მიმტანები | 590 | 26.6% |
| 5132 | ბარმენები | 270 | 12.2% |
| 5142 | კოსმეტოლოგები და მონათესავე სფეროებში დასაქმებული პირები | 234 | 10.6% |
| 5141 | სტილისტები | 196 | 8.8% |
| 5151 | ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დასუფთავება-დალაგების მეთვალყურეები | 192 | 8.7% |
| 5152 | შინამოსამსახურეები | 116 | 5.2% |
| 5113 | მოგზაურობის გიდები | 17 | 0.8% |
| 5112 | ტრანსპორტის კონდუქტორები | 9 | 0.4% |
| 5111 | ბორტგამცილებლები და სტიუარდები | 1 | 0.0% |
| | **სულ** | **2,215** | |

| 52 | გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 5223 | მაღაზიების კოსულტანტ-გამყიდველები | 3,302 | 69.3% |
| 5230 | მოლარეები და ბილეთების გამყიდველ-კონტროლიორები | 1,297 | 27.2% |
| 5222 | მაღაზიის ზედამხედველები | 112 | 2.4% |
| 5245 | მომსახურების პუნქტების მუშები | 37 | 0.8% |
| 5249 | სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი გაყიდვების სფეროს მუშაკები | 11 | 0.2% |
| 5242 | გაყიდვების წარმომადგენლები | 3 | 0.1% |

| | | | |
|---|---|---|---|
| | **სულ** | **4,762** | |

| 53 | ინდივიდუალური მომვლელები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 5311 | ბავშვის მომვლელები | 59 | 100.0% |

| 54 | მოსახლეობისა და საკუთრების დამცველი სამსახურების მუშაკები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 5414 | უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები | 1,233 | 99.3% |
| 5419 | სხვა კატეგორიაში ჩაურთველი მოსახლეობისა და საკუთრების დამცველი სამახურების მუშაკები | 6 | 0.5% |
| 5411 | მეხანძრეები | 3 | 0.2% |
| | **სულ** | **1,242** | |

## ძირითადი ჯგუფი: ოფისის დამხმარე პერსონალი

ოფისის დამხმარე პერსონალი ინახავენ მონაცემებს, ორგანიზებას უწევენ, გამოითვლიან და მოიძიებენ ინფორმაციას და ასრულებენ თანხების ადმინისტრირების ოპერაციებთან, სამგზავრო გეგმების ორგანიზებასთან, ინფორმაციის მოთხოვნასა და დანიშვნებთან დაკავშირებულ საოფისე საქმეებს.

2020 წლის განმავლობაში ამ პროფესიული ჯგუფისთვის ჯამში 5,542 ვაკანსია გამოქვეყნდა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 44.1%-ით ნაკლებია. გამოქვეყნებულ ვაკანსიათა 73.5% მომხმარებლის ინფორმირების სფეროში დასაქმებული პირების ქვეჯგუფზე მოდის, სადაც ძირითადად ქოლ-ცენტრის ოპერატორები და ბანკის მოლარეები შედიან.

| 4 | ოფისის დამხმარე პერსონალი | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 42 | მომხმარებლის ინფორმირების სფეროში დასაქმებული პირები | 4,074 | 73.5% |
| .43 | რაოდენობრივი და მატერიალური ფასეულობების აღმრიცხველი კლერკები | 762 | 13.7% |
| 44 | ოფისის დამხმარე პერსონალში დასაქმებული სხვა პირები | 596 | 10.8% |
| 41 | ზოგადი და ტექსტის ამკრეფი კლერკები | 110 | 2.0% |
| | **სულ** | **5,542** | |

| 41 | ზოგადი და ტექსტის ამკრეფი კლერკები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 4110 | ოფისის ზოგადი კლერკები | 86 | 78.2% |
| 4120 | მდივნები (ზოგადი) | 24 | 21.8% |
| | **სულ** | **110** | |

| 42 | მომხმარებლის ინფორმირების სფეროში დასაქმებული პირები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 4223 | სატელეფონო კომუტატორის ოპერატორები | 1,347 | 33.1% |
| 4211 | ბანკის მოლარეები და მონათესავე სფეროთა კლერკები | 1,128 | 27.7% |
| 4226 | მიმღების ოპერატორები (ზოგადი) | 684 | 16.8% |
| 4222 | საკონტაქტო ცენტრის კლერკები | 658 | 16.2% |
| 4221 | მოგზაურობის კონსულტანტები და კლერკები | 161 | 4.0% |
| 4212 | ტოტალიზატორის ოპერატორები (ბუკმეკერები), ბანქოს დამრიგებლები (კრუპიეები) და აზარტული თამაშების სფეროში დასაქმებული სხვა პირები | 76 | 1.9% |
| 4227 | გამოკვლევისა და ბაზრის კვლევების ინტერვიუერები | 20 | 0.5% |
| | **სულ** | **4,074** | |

| 43 | რაოდენობრივი და მატერიალური ფასეულობების აღმრიცხველი კლერკები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 4323 | ტრანსპორტირების კლერკები | 679 | 89.1% |
| 4311 | საბუღალტრო ოპერაციებისა და აღრიცხვის კლერკები | 83 | 10.9% |
| | **სულ** | **762** | |

| 44 | ოფისის დამხმარე პერსონალში დასაქმებული სხვა პირები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 4412 | კურიერები და ფოსტის დამხარისხებლები | 552 | 92.6% |
| 4415 | საქმისმწარმოებლები და ასლების გადამღები კლერკები | 35 | 5.9% |
| 4416 | პერსონალთან დაკავშირებული საკითხების კლერკები | 9 | 1.5% |
| | **სულ** | **596** | |

## ძირითადი ჯგუფი: ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები

ხელოსნები და მონათესავე სფეროს მუშები შენობების ასაშენებლად და მოსავლელ-შესანახად იყენებენ კონკრეტულ ტექნიკურ და პრაქტიკულ ცოდნასა და უნარებს. ასხამენ და აშენებენ ლითონის კონსტრუქციებს, განსაზღვრავენ სამუშაო იარაღებსა ან აკეთებენ, იყენებენ, უვლიან და არემონტებენ მანქანებს, მოწყობილობებსა თუ ხელსაწყოებს. აწარმოებენ ან გადაამუშავებენ საკვებ პროდუქციასა და ტექსტილს, აგრეთვე ხის, ლითონისა და სხვა საქონელს, მათ შორის ხელნაკეთობებს.

2020 წლის განმავლობაში ხელოსნებისა და მონათესავე სფეროების მუშების ძირითადი პროფესიული ჯგუფისთვის განკუთვნილი ვაკანსიების რაოდენობამ 2,911 შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 23.2%-ით ნაკლებია.

ვაკანსიები მეტნაკლებად თანაბრად არის გადანაწილებული ქვეჯგუფების მიხედვით. ყველაზე მაღალი წილით საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები გამოირჩევიან - 31%, შემდეგ მოდის ლითონ გადამმუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები - 23.6%, მშენებლობისა და მონათესავე პროფესიის მუშები - 21.4%.

*ცხრილი 4 ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები*

| 7 | ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 75 | საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები | 901 | 31.0% |
| 72 | ლითონგადამმუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები | 687 | 23.6% |
| 71 | მშენებლობისა და მონათესავე პროფესიის მუშები | 624 | 21.4% |
| 74 | ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების სფეროების მუშები | 446 | 15.3% |
| 73 | ხელოსნები და პოლიგრაფიული წარმოების მუშები | 253 | 8.7% |
| | **სულ** | **2,911** | |

| 71 | მშენებლობისა და მონათესავე პროფესიის მუშები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 7115 | ხუროები და დურგლები | 222 | 35.6% |
| 7111 | სახლების მსენებლები | 157 | 25.2% |
| 7127 | ჰაერის კონდიცირებისა და გაგრილების სისტემის მექანიკოსები | 103 | 16.5% |
| 7126 | ზეინკალ-სანტექნიკოსები და ზეინკალ-მილგამყვანები | 71 | 11.4% |
| 7131 | მღებავები და მონათესავე სფეროების მუშები | 52 | 8.3% |
| 7114 | ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი და მონათესავე სფეროების მუშები | 12 | 1.9% |
| 7123 | მებათქაშეები | 7 | 1.1% |
| | **სულ** | **624** | |

| 72 | ლითონგადამმუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 7231 | ავტოსატრანსპორტო საშუალებების მექანიკოსები და შემკეთებლები | 529 | 77.0% |
| 7212 | შემდუღებლები და აირით მჭრელები | 138 | 20.1% |
| 7213 | მვალცავები | 20 | 2.9% |
| | **სულ** | **687** | |

| 73 | ხელოსნები და პოლიგრაფიული წარმოების მუშები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 7319 | ხელოსნები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი | 203 | 80.2% |
| 7316 | პოსტერებისა და დეკორატიული ხატვის ოსტატები, გრავიორები და გრავერები | 37 | 14.6% |

| | | | |
|---|---|---|---|
| 7322 | მბეჭდავები | 13 | 5.1% |
| | **სულ** | **253** | |

| 74 | ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების სფეროების მუშები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 7411 | შენობების და მონათესავე სფეროების ელექტრიკოსები | 403 | 90.4% |
| 7413 | ელექტრონიკის ტექნიკოსები | 22 | 4.9% |
| 7412 | ელექტრული მოწყობილობის მექანიკოსები და მონტიორები | 21 | 4.7% |
| | სულ | **446** | |

| 75 | საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 7512 | პურის მცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები | 618 | 68.6% |
| 7533 | მკერავები, მქარგავები და მონათესავე სფეროების ხელოსნები | 162 | 18.0% |
| 7511 | ხორცის, თევზისა და მსგავსი საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები | 73 | 8.1% |
| 7515 | საკვები პროდუქტების და სასმელების დეგუსტატორები და დამხარისხებლები | 38 | 4.2% |
| 7516 | თამბაქოს დამამზადებლები და თამბაქოს პროდუქციის მწარმოებლები | 10 | 1.1% |
| | **სულ** | **901** | |

## ძირითადი ჯგუფი: დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი

ამ ძირითადი პროფესიული ჯგუფის საქმიანობები მოიცავს ელემენტარულ და რუტინულ სამუშაოებს, რომლებიც შესაძლებელია საჭიროებდნენ ხელით მართვადი ხელსაწყოების გამოყენებასა და მნიშვნელოვან ფიზიკურ ძალისხმევას. მოცემულ ძირითად ჯგუფში დასაქმებულების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, გულისხმობს ბინების, სახლების, სამზარეულოების, სასტუმროების, ოფისებისა და სხვა შენობების – დალაგებას, მარაგების შევსებას, სამზარეულოებში დახმარებასა და საკვების მოსამზადებელი მარტივი სამუშაოების შესრულებას და სხვა.

2020 წლის განმავლობაში გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობამ დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელისთვის 2,635 შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 33%-ით ნაკლებია. გამოცხადებულ ვაკანსიათა 50% მწმენდავებისა და დამხმარეების ქვეჯგუფზე მოდის, სამთო-მოპოვებითი, სამშენებლო, მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროს მუშებზე - 30%, ხოლო სამზარეულოს დამხმარეებზე 18.7%.

*ცხრილი 5 დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი*

| 9 | დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 91 | მწმენდავები და დამხმარეები | 1,318 | 50.0% |
| 93 | სამთო-მოპოვებითი, სამშენებლო, მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროს მუშები | 787 | 29.9% |
| 94 | სამზარეულოს დამხმარეები | 492 | 18.7% |
| 96 | ნარჩენების გამტანები და სხვა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშები | 34 | 1.3% |
| 92 | სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს  მუშები | 4 | 0.2% |
| | **სულ** | **2635** | |

| 91 | მწმენდავები და დამხმარეები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 9112 | ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები | 1,086 | 82.4% |
| 9122 | ავტომობილების მწმენდავები | 202 | 15.3% |
| 9123 | ფანჯრების მრეცხავები | 19 | 1.4% |
| 9124 | სხვა ტიპის მრეცხავები | 11 | 0.8% |
| | **სულ** | **1318** | |

| 92 | სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს  მუშები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 9216 | მეთევზეობისა და წყლის კულტურების მუშები | 4 | 100.0% |

| 93 | სამთო-მოპოვებითი, სამშენებლო, მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროს მუშები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 9333 | მტვირთავი | 787 | 100.0% |

| 94 | სამზარეულოს დამხმარეები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 9412 | სამზარეულოს დამხმარეები | 387 | 78.7% |
| 9411 | სწრაფი კვების კერძების მომმზადებლები | 105 | 21.3% |
| | **სულ** | **492** | |

| 96 | ნარჩენების გამტანები და სხვა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 9613 | მეეზოვეები და მსგავსი დამწყები კვალიფიკაციის მუშები | 34 | 100.0% |

## ძირითადი ჯგუფი: სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები

სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები ადგილზე ან დისტანციურად ამუშავებენ და მეთვალყურეობენ საწარმოო და სოფლის მეურნეობის მანქანებსა და დანადგარებს; მართავენ და გამოყენებენ მატარებლებს, ავტომობილებს, მობილურ მანქანებსა და დანადგარებს; ან ზუსტი სპეციფიკაციებისა და პროცედურების შესაბამისად შემადგენელი ნაწილებისაგან აწყობენ პროდუქტებს.

2020 წლის განმავლობაში ამ ძირითადი პროფესიული ჯგუფისთვის 2,381 ვაკანსია გამოცხადდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 26.4%-ით ნაკლებია. გამოცხადებული ვაკანსიების უმრავლესობა მძღოლებისა და მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორების ქვეჯგუფზე მოდის - 75.5%, რომელიც ძირითადად სატვირთო ავტომობილების მძღოლებს მოიცავს.

*ცხრილი 6 სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები*

| 8 | სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 83 | მძღოლები და მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები | 1,797 | 75.5% |
| 81 | მდგრადი სამრეწველო დანადგარების და მანაქანების ოპერატორები | 479 | 20.1% |
| 82 | ამწყობები | 105 | 4.4% |
| | **სულ** | **2381** | |

| 81 | მდგრადი სამრეწველო დანადგარების და მანაქანების ოპერატორები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 8183 | შესაფუთი, ჩამოსასხმელი და ეტიკეტირების მანქანების ოპერატორები | 281 | 58.7% |
| 8121 | ლითონის დამუშავების დანადგარების ოპერატორები | 153 | 31.9% |
| 8143 | ქაღალდის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები | 40 | 8.4% |
| 8160 | საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები | 5 | 1.0% |
| | **სულ** | **479** | |
| **82** | **ამწყობები** | **რაოდენობა** | **წილი** |
| 8211 | მექანიკური მანქანების ამწყობები | 58 | 55.2% |
| 8212 | ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების ამწყობები | 47 | 44.8% |
| | **სულ** | **105** | |

| 83 | მძღოლები და მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| 8332 | სატვირთო ავტომობილების მძღოლები | 1,205 | 67.1% |
| 8322 | მსუბუქი ავტომობილების, ტაქსებისა და ფურგონების მძღოლები | 383 | 21.3% |
| 8343 | ამწეების, საწეველებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები | 191 | 10.6% |
| 8321 | მოტოციკლების მძღოლები | 12 | 0.7% |
| 8341 | სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორი | 6 | 0.3% |
| | **სულ** | **1797** | |

## ძირითადი ჯგუფი: მენეჯერები

მენეჯერები გეგმავენ, კოორდინირებენ და აფასებენ საწარმოების, მთავრობისა და სხვა ორგანიზაციების ან მათი ქვედანაყოფების საქმიანობას, აყალიბებენ და იხილავენ მათ პოლიტიკას, კანონებს, წესებსა და რეგულაციებს.

2020 წლის განმავლობაში მენეჯერულ პოზიციებზე გამოქვეყნდა 1,042 ვაკანსია, რაც წინა წლის მაჩვენებელს 49.5%-ით ჩამორჩება. გამოქვეყნებული ვაკანსიების 51.5% ადმისტრაციულ და კომერციულ მენეჯერებზე მოდის (ფინანსური მენეჯერები, გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები...).

*ცხრილი 7 მენეჯერები*

| 1 | მენეჯერები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 12 | ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები | 537 | 51.5% |
| 13 | წარმოებისა და სპეციალიზებული მომსახურების მენეჯერები | 261 | 25.0% |
| 14 | სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები | 183 | 17.6% |
| 11 | უმაღლესი რგოლის მენეჯერები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები | 61 | 5.9% |
| | **სულ** | **1042** | |

| 11 | უმაღლესი რგოლის მენეჯერები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 1120 | მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენჯერები | 61 | 100.0% |

| 12 | ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები | რაოდეობა | წილი |
|---|---|---|---|
| 1219 | სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები | 249 | 46.4% |
| 1211 | ფინანსური მენეჯერი | 199 | 37.1% |
| 1213 | პოლიტიკისა და დაგეგმვის მენჯერები | 56 | 10.4% |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1221 | გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები | 31 | 5.8% |
| 1212 | ადამიანური რესურსების მენეჯერები | 2 | 0.4% |
| | **სულ** | **537** | |

| 13 | წარმოებისა და სპეციალიზებული მომსახურების მენეჯერები | რაოდეობა | წილი |
|---|---|---|---|
| 1321 | დამამუშავებელი მრეწველობის მენეჯერები | 151 | 57.9% |
| 1346 | ფინანსური და სადაზღვევო მომსახურების ფილიალის მენეჯერები | 48 | 18.4% |
| 1342 | ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების მენეჯერები | 42 | 16.1% |
| 1349 | სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი პროფესიული მომსახურების მენეჯერები | 20 | 7.7% |
| | **სულ** | **261** | |

| 14 | სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები | რაოდეობა | წილი |
|---|---|---|---|
| 1412 | რესტორნის მენეჯერები | 136 | 74.3% |
| 1411 | სასტუმროს მენეჯერები | 47 | 25.7% |
| | **სულ** | **183** | |

## ძირითადი ჯგუფი: სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები

სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს სპეციალისტებს მოჰყავთ მინდვრის, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურები და იღებენ მათ მოსავალს. აგროვებენ ველურად მზარდი ხეების ნაყოფებსა და მცენარეებს. ისინი აგრეთვე აშენებენ ცხოველებს ან ნადირობენ მათზე. აწარმოებენ სხვადასხვა სახეობის ცხოველურ პროდუქტებს.

ამ ძირითადი პროფესიული ჯგუფში გაერთიანებული პროფესიები  საქართველოს შრომის ბაზარზე არ გამოირჩევიან დაქირავებით დასაქმების მარალი დონით. სოფლის მეურნეობის სექტორში ძირითადად თვითდასაქმებულები საქმიანობენ. შესაბამისად დაბალია გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა. 2020 წლის განმავლობაში, ჯამში 160 ვაკანსია გამოქვეყნდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 75.8%-ით აღემატება.

*ცხრილი 8 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები*

| 6 | სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 61 | ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის სფეროს კვალიფიციური მუშაკები | 152 | 95.0% |

| | | | |
|---|---|---|---|
| 62 | ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, მეთევზეობისა და ნადირობის სფეროებში დასაქმებული კვალიფიციური პირები | 8 | 5.0% |
| | **სულ** | **160** | |

| 61 | ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის სფეროს კვალიფიციური მუშაკები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 6113 | მებაღეები; სანერგე მეურნეობის სპეციალისტები | 80 | 52.6% |
| 6111 | მემინდვრეები და მებოსტნეები | 37 | 24.3% |
| 6121 | რძისა და სხვა ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები | 14 | 9.2% |
| 6112 | ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მწარმოებლები | 12 | 7.9% |
| 6122 | მეფრინველეები | 8 | 5.3% |
| 6123 | მეფუტკრეები და მეაბრეშუმეები | 1 | 0.7% |
| | **სულ** | **152** | |

| 62 | ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, მეთევზეობისა და ნადირობის სფეროებში დასაქმებული კვალიფიციური პირები | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|---|
| 6210 | მეტყევეები და მონათესავე სფეროებში დასაქმებული პირები | 8 | 100.0% |

## 2020 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (WORKNET.GOV.GE) დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა და გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზი

2020 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში - WORKNET.GOV.GE რეგისტრაცია გაიარა 34,056 სამუშაოს მაძიებელმა. სისტემაში სულ დარეგისტრირებულია 377,518 სამუშაოს მაძიებელი და მათგან აქტიური მაძიებელია 338,317 პირი (90%). აქტიური სამუშაოს მაძიებლების სიმრავლით გამოირჩევა თბილისი (17%) და იმერეთი (14%). ასევე, მრავლად არიან წარმოდგენილები კახეთის (11%), აჭარის (11%), სამეგრელო-ზემო სვანეთისა (10%) და ქვემო ქართლის (10%) რეგიონებში.

*დიაგრამა 28. აქტიური სამუშაოს მაძიებლები რეგიონების მიხედვით (2020 წ.)*




2020 წელს სისტემაში დარეგისტრირებული 34,056 სამუშაოს მაძიებელიდან 52% (17,605) ქალია, ხოლო - 48% (16,451) კაცი. 2020 წელს სისტემაში დარეგისტრირებულთა უმრავლესობა (59%) განეკუთვნება 25-49 ასაკობრივ ჯგუფს, ხოლო ყველაზე ნაკლებია 14-24 ასაკის მქონე ახალგაზრდების (14%) ხვედრითი წილი.

*დიაგრამა 29. 2020 წელს სისტემაში დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით*



2020 წელს სისტემაში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები სხვა კატეგორიების მიხედვით შემდგენაირად განაწილდა: სოც. რეგისტრირებული - 31,413 (92%), საარსებოს მიმღები პირები - 19,221 (56%), დევნილი - 2,041 (6%), შშმპ - 1033 (3%).

2020 წელს სისტემაში 269 დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი იქნა 3,434 ვაკანსია, რაც წინა წელთან შედარებით, კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული კრიზის შედეგად, საგრძნობლად (-67%) შემცირდა და ვაკანსიების შემცირება აისახა ყველა სექტორზე. სისტემაში წარმოდგენილი ვაკანსიებიდან კვლავაც ლიდერობს ვაჭრობის სექტორი (29%, 1,002 ვაკანსია). ასევე, ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევა სხვა სახის მომსახურებისა (23%, 777 ვაკანსია) და ტურიზმის (13%, 453%) სექტორები. თითქმის თანაბარია ვაკანსიების რაოდენობა ინფორმაცია და კომუნიკაციების (6%, 221 ვაკანსია), დამამუშავებელი მრეწველობისა (6%, 219 ვაკანსია) და ტრანსპორტის (6%, 209 ვაკანსია) სექტორების მიხედვით.

*დიაგრამა 30. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში შესული ვაკანსიები და პროცენტული ცვლილება*




*დიაგრამა 31. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში შესული ვაკანსიები ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით*



2020 წელს სისტემაში დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ ვაკანსიების მიხედვით მაღალია მოთხოვნა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელსა (38%, ვაკანსია) და მომსახურების/გაყიდვების (21%, 718 ვაკანსია) სფეროში დასაქმებულ პირებზე.

გასულ წლებში ვაკანსიების სიმრავლით პირველი ადგილზე იყო მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირების ძირითადი ჯგუფი. თუმცა 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, მკვეთრად შემცირდა (-86%) აღნიშნული ძირითადი ჯგუფის პერსონალზე ვაკანსიები და ამის პარალელურად საგრძნობლად გაიზარდა (45%) მოთხოვნა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელზე.

*დიაგრამა 32. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში შემუსული ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით*




2020 წელს სისტემაში შემოსული ვაკანსიების მიხედვით, ასევე, წამყვანი ადგილი უკავიათ სამრეწველო მანქანების ოპერატორების (15%, 524 ვაკანსია), ხელოსნებისა (12%, 399 ვაკანსია) და ოფისის დამხმარე პერსონალის (10%, 352 ვაკანსია) ძირითად ჯგუფებს. 2020 წელს წინა წილთან შედარებით გაიზარდა მოთხოვნა სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორებზე (63%), ასევე ხელოსნებზე (36%). აღნიშნული შეიძლება განპირობებული იყოს კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში მძღოლებზე მოთხოვნის გაზრდით, რაც დაკავშირებულია ელექტრონულ გაყიდვებსა და საქონლის/მომსახურების მიწოდების სერვისზე.

2020 წელს სისტემაში შემოსული ვაკანსიებიდან დაბალი ხვდერითი წილი უკავიათ სპეციალისტებისა (1%, 36 ვაკანსია) და ტექნიკოსების (2%, 72 ვაკანსია) ძირითად პროფესიულ ჯგუფებს. 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, თითქმის 100%-ით შემცირდა ვაკანსიები სპეციალისტებისა და ტექნიკოსების ძირითად პროფესიულ ჯგუფებზე. ამრიგად, 2020 წელს სისტემაში შემოვიდა ბევრად ნაკლები ვაკანსია მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელზე. 2020 წელს მიუხედავად მენეჯერულ პოზიციებზე სისტემაში შემომავალი ვაკანსიების დაბალი ციფრისა (13 ვაკანსია), წინა წელთან შედარებით (3 ვაკანსია) ზრდა დაფიქსირდა.

ამრიგად, 2020 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით:

- 2020 წლის მდგომარეობით შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (WORKNET.GOV.GE) რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობამ შეადგინა 377,518 ადამიანი, მათგან 338,317 იყო აქტიური სამუშაოს მაძიებელი (90%). სისტემაში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელების რიცხვი აღემატება 2020 წლის მდგომარეობით ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელს (281.9 ათასი);
- სისტემაში რეგისტრირებულ აქტიურ სამუშაოს მაძიებლებში ყველაზე ფართოდ (59%) არიან წარმოდგენილები 25-49 ასაკობრივი ჯგუფის ადამიანები, ხოლო ყველაზე ნაკლებად (14%) 14-25 ასაკობრივი ჯგუფის ადამიანები;
- 2020 წელს კოვიდ-19 პანდემიის შედეგად წინა წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა (-67%) სისტემაში შემავალი ვაკანსიების რიცხვი. ვაკანსიების შემცირება დაეტყო ყველა ეკონომიკურ სექტორს. პროფესიული ჯგუფის მიხედვით კი ვაკანსიები საგრძნობლად შემცირდა სპეციალისტებისა და ტექნიკოსების ძირითად პროფესიულ ჯგუფებზე.

## დასკვნა

წინამდებარე ანგარიშში, ერთი მხრივ, ქვეყანაში სამუშაო ძალის არსებული სტრუქტურისა და ტენდენციების შეფასებით, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის, ტენდენციებისა და დაგეგმილი/მიმდინარე რეფორმების გაანალიზებით, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი დასკვნა:

- ქვეყანაში შრომის ბაზრის წინაშე არსებული გამოწვევებიდან მნიშვნელოვანია უმუშევრობის მაღალი დონე (განსაკუთრებით ახალგაზრდებში) და სამუშაო ძალის დაბალპროდუქტიულობა.

- 2020 წელს Covid 19-ის პანდემიის შედეგად, დაირღვა შრომის ბაზრის სტატისტიკის მიმართულებით წინა წლებში არსებული პოზიტიური ტენდენციები. კერძოდ, 2020 წელს ქვეყანაში გაიზარდა უმუშევრობის დონე და ბიზნეს სექტორში შემცირდა დასაქმების მაჩვენებელი.
- ეკონომიკის შემდგომი სწრაფი აღდგენა და დასაქმების ზრდა მოსალოდნელია შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით:
  - 2021 წლის გაზაფხულზე უარი ეთქვა ეკონომიკის ჩაკეტვას. აღნიშნული წელი თვისობრივად განსხვავებულია, ვიდრე 2020 წელი, როდესაც პანდემიასთან ბრძოლა საზღვრების და ეკონომიკის ჩაკეტვით, ხოლო გაჩერებული ეკონომიკის დახმარება გარკვეული სუბსიდიების გზით ხდებოდა;
  - 2021 წელს საქართველოში ეკონომიკური გაჯანსაღების მოსალოდნელზე პოზიტიური ტენდენციები დაფიქსირდა. 2021 წლის იანვარ-ოქტომბერში საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 10.5% შეადგინა, ხოლო 2021 წლის იანვარ-ოქტომბრის ეკონომიკური აქტივობის დონე 3.7%-ით აღემატება 2019 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს;
  - მოხდა ეროვნული ეკონომიკის გახსნა და ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
  - ბიზნესს გარკვეულწილად დაუბრუნდა პროგნოზირებადობის და სიმშვიდის განცდა.

შესაბამისად, აღნიშნულის ბუნებრივი თანმდევი იქნება სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდა.

- კაპიტალის ბაზრის რეფორმა, თავის მხრივ, გაზრდის შრომის ბაზარზე შესაბამისი პროფილის მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნას;
- მთავრობის მიერ, დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოების თაობაზე აღებული ვალდებულების, კერძოდ, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე გავრცელების ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შესაბამისი პოლიტიკის განხორციელება, თავის მხრივ, კვლავაც გამოიწვევს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებზე მოთხოვნის გაზრდას;
- განახლებადი ენერგიის ათვისების და ენერგოეფექტურობის კუთხით ახალი საკანონმდებლო რეგულაციების შემოღების შესაბამისად გაჩნდება მოთხოვნა შესაბამის პროფესიულ ჯგუფზე;
- საქართველოს, როგორც რეგიონალური ჰაბის პოტენციალის რეალიზების და შესაბამისად სატრანსპორტო, ლოგისტიკური, საკომუნიკაციო და

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, შესაბამისი პროექტების განხორციელება (როგორც საჯარო, ისე კერძო ინვესტიციებით) ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას აღნიშნულ სექტორებში.

- საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადგილობრივი წარმოების განვითარებას. სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს ფარგლებში ამოქმედდა საკრედიტო საგარანტიო მექანიზმი, რომელიც სწორედ ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე აკეთებს აქცენტს, რაც თავის მხრივ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფს;
- თანამედროვე მსოფლიო მრავალი წელია რაც ტექნოლოგიური განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა და ამ პროცესმა უწვეტი სახე მიიღო. შესაბამისად, აუცილებელია მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების არსებობა ქვეყნის შიგნით, რათა არ ჩამოვრჩეთ და მხარი ავუბათ მიმდინარე პროცესებს. „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ პროგრამის ფარგლებში, რომელიც ცდილობს მოქალაქეებს შესთავაზონ არსებულ ტენდენციებსა და მოთხოვნებზე მორგებული პროგრამები, სრულიად უფასოდ გადამზადდება 3,000 სპეციალისტი სხვადასხვა მიმართულებით, როგორებიცაა Front-end და Back-end პროგრამირება, UX/UI დიზაინი, ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი, კიბერ უსაფრთხოება და სხვა. აღნიშნული პროგრამა გააჩენს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომელთაც გაუჩნდებათ როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე, საქართველოდან უცხოურ კომპანიებში დასაქმების შესაძლებლობა;
- მსოფლიო მასშტაბით Covid 19-ის პანდემიით განპირობებული გამოწვევების შესაძლებლობებად გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია ქვეყანაში დასავლური კომპანიების შემოსვლა, რაც განაპირობებს სამუშაო ადგილების შექმნას და მოთხოვნას შესაბამის სამუშაო ძალაზე. კერძოდ, იგულისხმება იმ დასავლურ კომპანიათა საქართველოთი დაინტერესებისა და ქვეყანაში შემოყვანის შემთხვევა, რომლებსაც ჩინეთში გააჩნდა საწარმოები და დივერსიფიცირების მიზნით ახალ ქვეყნებს ეძებენ ე.წ. “Strategy China +1”-ის ფარგლებში.

## რეკომენდაციები

- დასაქმებისა და უმუშევრობის დონეების კვალიფიკაციების მიხედვით გადანაწილებისთვის შესაბამისი სტატისტიკის უზრუნველყოფა;

- დასაქმების ეფექტიანი ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით, არსებული დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების შესახებ საზოგადოების, მათ შორის კერძო სექტორის, ცნობიერების ამაღლება;
- კერძო სექტორისა და პროფესიული სასწავლებლების თანამშრომლობის შემდგომი წახალისება სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასვლის არსებული მასშტაბების გაზრდის მიზნით. ასევე, კერძო სექტორის ჩართულობის ამაღლება პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- დასაქმების კერძო სააგენტოების ცნობიერების და ცოდნის ამაღლების ხელშეწყობა მათ მიერ წარმოებული ე. წ. „Big Data“-ს პროფესიული ჯგუფების საერთაშორისო სტანდარტთან (ISCO 2008) შესაბამისობაში წარმოების და ასევე, „უნიკალური“ ვაკანსიების სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.